ხელშეკრულება № 111

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 25 ივნისი 2019 წელი

ერთი მხრივ, **შპს „სპორტმშენსერვისი“** (შემდგომში ,,შემსყიდველი'') წარმოდგენილი მისი დირექტორის თორნიკე ტყეშელაშვილის სახით და მეორე მხრივ, **საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი "დაცვის პოლიციის დეპარტამენტი"** (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი კახეთის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველოს უფროსის მირიან ბაიდოშვილის სახით სახელმწიფო შესყიდვების კანონის მე-10[1] მუხლის 3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და "გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანების მე-3 მუხლის 1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ SMP მოდულში მიღებული თანხმობის SMP190002665 შესაბამისად „ექსკლუზიური უფლებამოსილების" საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. **ხელშეკრულების საგანი**

1.1 <u>ხელშეკრულების საგანია</u>: უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მომსახურების **CPV - 79710000** შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებისა და თანდართული გამოკვლევის აქტში მოცემული პირობების შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. **ხელშეკრულების ღირებულება**

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა: 4800 (ოთხიათასრვაასი) ლარი;

2.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

3. **შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი**

3.1 მომსახურების გაწევა მოხდება შპს „სპორტმშენსერვისი“-ს ბალანსზე არსებულ სპორტულ ობიექტზე, მისამართზე: ქ. თელავი, ალაზნის გამზირის მიმდებარედ.

3.2 მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს ყოველდღიურად, დღეღამეში 24 საათის განამვლობაში ცვლაში 2 (ორი) პოლიციელის მეშვეობით;

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში (ლარებში), შემდეგ ანგარიშზე: სახელმწიფო ხაზინა, მიმღები: ხაზინის ერთიანი ანგარიში ბანკის კოდი TRESGE22; მიმღების ანგარიში: 707117046;

4.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერიდან 5 კალენდარული დღის განმავლობაში.

4.3 მომსახურების საგადასახადო დოკუმენტაციის გამოწერას უზრუნველყოფს შსს სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის კახეთის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველო.

5. მომსახურების მიღება–ჩაბარების წესი

5.1 მომსახურეობა ჩაითვლება გაწეულად შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურის გამოწერის შემდეგ;

6. მხარეთა უფლება-მოვალეობები

6.1 <u>შემსყიდველს უფლება აქვს :</u>

- ნებისმიერ დროს განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება) და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

6.2 <u>შემსყიდველი ვალდებულია:</u>

- უზრუნველყოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს გამოკვლევის აქტით განსაზღვრული მოთხოვნები და სამუშაო პირობების შექმნა, გამოკვლევის აქტში განსაზღვრული პირობების შესაბამისად;

6.3 <u>მიმწოდებელს უფლება აქვს:</u>

- მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

6.4 <u>მიმწოდებელი ვალდებულია:</u>

- შეასრულოს ხელშეკრულებითა და გამოკვლევის აქტით გათვალისწინებული ვალდებულებები;

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას ინსპექტირებას ახორციელებს შპს „სპორტმშენსერვისი“-ს წარმომადგენელი გიორგი დარსაველიძე;

7.2 ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე გაწეული ან გასაწევი მომსახურების ხარისხის კონტროლს;

7.3 ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ხელშეკრულების პიროებების შეუსრულებლობა

შემსყიდველი | მიმწოდებელი

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტხელო ყოველ გადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.5%-ის ოდენობით;

8.2 იმ შემთხვევაში თუ პირგასამტეხლოს ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალსახად შეწყვიტოს ხელშეკრულება;

8.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;

9.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

9.3 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

9.4 მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 7,2 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ;

9.5 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დაუძლეველი ძალა

10.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11. დავები და მათი გადაჭრის გზები

11.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

შემსყიდველი | მიმწოდებელი

ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 3 ოქტომბრის ჩათვლით; მომსახურების ვადა განისაზღვრება 2019 წლის 30 ივნისიდან 2019 წლის 30 ივლისის ჩათვლით.

13. მხარეთა რეკვიზიტები

შ.პ.ს „სპორტმშენსერვისი“ **საიდენტიფიკაციო კოდი:** 204878542 **მის:**ქ.თბილისი, ჭავჭავაძის გამზ.#49ა **საბანკო რეკვიზიტები:** ს/ს „ტერა ბანკი“ **ბანკის კოდი:** TEBAGE 22 **ანგარიშის ნომ:** GE08KS0000000360800806	**საქართველოს შსს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის კახეთის დაცვის პოლიციის სამმართველო** **საიდენტიფიკაციო კოდი:** 211350928 **მის:** ქ.თელავი, გ.ჩოხელი ქ.№35. **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა **მიმღების დასახელება:** ხაზინის ერთიანი ანგარიში **ბანკის კოდი:** TRESGE22 **მიმღების ანგარიში:** 707117046

დირექტორი: თ.ტყეშელაშვილი

კახეთის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველოს უფროსი: მ. ბაიდოშვილი

Mirian Baidoshvili

Digitally signed by Mirian Baidoshvili
Date: 2019.06.27 10:29:52 +04'00'

შემსყიდველი

მიმწოდებელი